განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

ქიმიის ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისა და ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის

შეფასების თარიღ(ებ)ი
02.06.2020

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისა და ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211359448 211325653
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტები

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქიმიის ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ქიმიის დოქტორი - PhD in Chemistry 0531
სწავლების ენა	ქართული ენა
კრედიტების რაოდენობა	40 (სასწავლო კომპონენტი)
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	რეაკრედიტაცია

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ელინა ბაქრაძე (თავმჯდომარე) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკატერინე ჩხაიძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ინგა ბოჭოიძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ აბულაძე ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

აკრედიტაცია ეხება ქიმიის ერთობლივ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას. პროგრამა შექმნილია უნივერსიტეტის მოქმედი რეგულაციების შესაბამისად. მისი მიზანია სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც ექნებათ ცოდნის მაღალი დონე ქიმიის ფუნდამენტურ სფეროში.
ყველა დაინტერესებული მხარე (პერსონალი და სტუდენტი) ჩართული იყო პროგრამის შემუშავებაში და მის ადაპტაციაში ადგილობრივ რეგულაციებთან: აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან.
შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისა და ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ქიმიის ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა 2015 წლის აკრედიტაციის (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N18, 03.02.2015) საფუძველზე ხორციელდებოდა როგორც ერთი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით. მოცემული პროგრამა ანიჭებდა სამ კვალიფიკაციას: ქიმიის დოქტორი, ფიზიკის დოქტორი და ბიოლოგიის დოქტორი. მას შემდეგ, რაც კანონმდებლობაში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები აღარ არიან უფლებამოსილი, რომ მიანიჭონ სადოქტორო პროგრამაზე 1-ზე მეტი კვალიფიკაცია, რეაკრედიტაციაზე წარმოდგენილ იქნა დამოუკიდებელი სადოქტორო პროგრამა ქიმიაში.
შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისა და ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ქიმიის ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა არის ქართულენოვანი და 40 კრედიტიანი (იგულისხმება სასწავლო კომპონენტი).
შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტსა და ა(ა)იპ - საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტს აქვთ უნიკალური ერთობლივი რესურსი (მაღალკვალიფიციური პროფესორები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საერთაშორისო კავშირები), იმისათვის რომ ქიმიის მიმართულებით დოქტორანტს შეუქმნას საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი სრულყოფილი გარემო, როგორც კვლევითი და სასწავლო საქმიანობის კუთხით, ისე ინტერდისციპლინური კვლევების წარმოებისათვის.
დოქტორანტებს საშუალება აქვთ ჩაერთონ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით უახლეს კვლევებში (ფიზიკა, ბიოლოგია) რაც სხვადასხვა მიმართულების დოქტორანტებს შორის ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების დიდ შესაძლებლობას იძლევა.
შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისა და ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ ქიმიის ერთობლივ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულია მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი, რომლებსაც აქვთ საერთაშორისო დონეზე კვლევისა და სწავლების გამოცდილება.
დოქტორანტი პროგრამაზე სწავლის პერიოდში ახდენს მიღებული სამეცნიერო შედეგების გამოქვეყნებას მაღალი რანგის საერთაშორისო რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალებში, რაც ხელს უწყობს კვლევის სტანდარტების ამაღლებას.
შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტსა და ა(ა)იპ - საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტს ერთობლივი რესურსით შეუძლიათ მოამზადონ ქიმიის დოქტორი, რომელსაც შეეძლება ჩაერთოს სამეცნიერო, პედაგოგიურ და პრაქტიკულ საქმიანობაში.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ავტორიზაციის ღონისძიებები ორგანიზებული იყო სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, რომელმაც ასევე დანიშნა პანელის წევრები. უნივერსიტეტმა შეიმუშავა თვითშეფასების ანგარიში და თანდართული მტკიცებულებები პანელის მიერ შესამოწმებლად, უნივერსიტეტში ვიზიტის დაწყებამდე. შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტსა და ა(ა)იპ - საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 02 ივნისს და დაგეგმილი განრიგის შესაბამისად წარიმართა. ჯგუფში შედიოდა ოთხი ექსპერტი (ელინა ბაქრაძე, ეკატერინე ჩხაიძე, ინგა ბოჭოიძე და მარიამ აბულაძე). სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტში მონაწილეობდა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი ლაშა მაჭარაშვილი.
10 სთ დაიწყო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან: რექტორი, პრორექტორები, დეკანებთან, პროგრამის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერთან შეხვედრით. საუბარი შეეხო პროგრამის ზოგად კონტექსტს, შესაბამისობას უნივერსიტეტის მისიასთან, სტრატეგიულ გეგმასთან და ხედვასთან პროგრამის სამომავლო განვითარებისთვის.
შემდეგ გავესაუბრეთ თვითშეფასების ჯგუფის წევრებს, პროგრამის სუსტი და ძლიერი მხარეების, ასევე თვითშეფასების ანგარიშის სპეციფიკური ასპექტების შესახებ. შემდეგ, დეტალები პროგრამის ორგანიზებისა და კურსების შინაარსის შესახებ, განხილულ იქნა პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად. შეხვედრის პირველი ნაწილი დასრულდა გასაუბრებით აკადემიური და მოწვეული პერსონალის წარმომადგენლებთან, რომლებსაც დავუსვით შეკითხვები პროგრამის მომზადებაში მათი მონაწილეობის და სხვა ორგანიზაციული ასპექტების შესახებ.
ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა პროგრამისთვის გამოყოფილი ინფრასტრუქტურა, მათ შორის ყველა ლაბორატორია და აუდიტორია. შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისა და ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება (ლაბორატორიები, აუდიტორიები, ბიბლიოთეკა). ამის შემდეგ შეხვედრა გაიმართა მოქმედი პროგრამის ქიმიის მიმართულების დოქტორანტთან (სკაიპის საშუალებით) და კურსდამთავრებულებთან. დისკუსიის მთავარი თემა იყო უკუკავშირი პროგრამის შესახებ, არჩევანის მიზეზი და მათი ფაქტობრივი სტატუსი.

ექსპერტებისათვის მოწოდებულ დოკუმენტაციაში (თვითშეფასების ანგარიში, კომპეტენციების რუკა, სადოქტორო სკოლის და სადისერტაციო საბჭოს დებულება) იყო გარკვეული ტექნიკური უზუსტობები. ვიზიტის განმავლობაში წარმოდგენილი იქნა პერსონალის განახლებული მონაცემები (CV), დამატებით იქნა წარმოდგენილი მემორანდუმები.

ვიზიტმა ჩაიარა სამუშაო ატმოსფეროში, უნივერსიტეტების მხრიდან იყო ყველანაირი ხელშეწყობა და მზაობა ვიზიტის სრულყოფილად განსახორციელებლად.
დღე დასრულდა ვიზიტის შესახებ პირველი უკუკავშირის გაზიარებით უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისა და ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ქიმიის ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ხუთივე სტანდარტთან არის შესაბამისობაში.
პირველი სტანდარტიდან ერთი არის სრულ შესაბამისობაში, ხოლო მეორე მეტწილად შესაბამისობაში, რასთან დაკავშირებითაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები და რჩევები;
მეორე სტანდარტთან მიმართებაში ხუთი კომპონენტიდან ორი იყო მეტწილად შესაბამისობაში, რასთან დაკავშირებიაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები და რჩევები;
მესამე სტანდარტთან მიმართებაში იყო შესაბამისობაში;
მეოთხე სტანდარტთან მიმართებაში ყველა არის სრული შესაბამისობაში.
მეხუთე სტანდარტთან მიმართებაში იყო შესაბამისობაში;

რეკომენდაციები

ექსპერტთა რეკომენდაციაა:

1. დამსაქმებლების მეტი ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებასა და განხორციელებაში, ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით;
2. სადოქტორო სემინარი I, სადოქტორო სემინარი II და სადოქტორო სემინარი III სწავლის შედეგებში გათვალისწინებული იქნას დარგის სპეციფიკა და დაკონკრეტდეს, რომელი სასწავლო კურსი, რა სწავლის შედეგზე გადის;
3. სასურველია პროგრამა მოვიდეს შესაბამისობაში უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის, მე-2 პუნქტის „გ“. ქვეპუნქტთან.
4. პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა გადახედოს ორი სასწავლო კურსის შინაარსს („სადისერტაციო ნაშრომის შესრულება“ და „რაოდენობრივი კვლევის მეთოდებს“), რათა თავიდან იქნას აცილებული სასწავლო კურსების საკითხების გადაფარვა;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაკეთებული ყველაზე მნიშვნელოვანი რჩევებია:

1. პროგრამის სწავლის შედეგების მეტად ადაპტირება ქიმიის დარგთან და იმ ძირითადი შედეგების გამოკვეთა, რომლის მიღწევაც არის დაგეგმილი სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულთათვის;
2. სასურველია პროგრამის მიზნებში უნარებთან ერთად, განისაზღვროს ცოდნის ის საკითხები, რომლებსაც პროგრამა რეალურად აძლევს სტუდენტებს.
3. სასურველია პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას გამოვიყენოთ აქტიური ზმნები და ბლუმის ტაქსონომია. (დ. კენედის „სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და დანერგვა“).
4. სასურველია ქიმიის ერთობლივი სადოქტორო პროგრამის კურიკულუმის (სწავლის შედეგების) რუკაზე გაიწეროს რომელი სასწავლო და კვლევითი კომპონენტი რა დონით ავითარებს კონკრეტულ სწავლის შედეგს (1 - გაცნობა; 2 - გაღრმავება; 3 - განმტკიცება).

5. სასურველია დაკონკრეტდეს სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები.

6. სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავდეს თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში არჩევითობას.
7. ლაბორატორიებისა და აღჭურვილობის სტანდარტების დაცვა გადამწყვეტი იქნება პროგრამის განხორციელება/განვითარებაში და ახალი დოქტორანტების მოსაზიდად, აქედან გამომდინარე აუცილებელია უნივერსიტეტის მდგრადი მხარდაჭერა;
8. სასურველია დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ტექნიკური შეცდომების შემცირება.
9. სტუდენტების/კურსდამთავრებულების ჩართულობის უზრუნველყოფა თვითშეფასების პროცესში;
10. პროგრამის თვითშეფასების ჯგუფში აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ჩართულობის უზრუნველყოფა.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

1. სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები, მათი უზრუნველყოფის მექნიზმები მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით და საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშემწყობი მექანიზმები.
2. პროგრამას ემსახურება მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი, სხვადასხვა დარგის სპეციალისტების ჩართულობა უზრუნველყოფს კვლევების ინტერდისციპლინარობას.
3. უნივერსიტეტების ლაბორატორიები უზრუნველყოფილია მაღალტექნოლოგიური ხელსაწყო - დანადგარებით, რომლებიც არის თანამედროვე და აკმაყოფილებს საერთშორისო სტანდარტებს.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

- არ ეხება

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1. პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ქიმიის ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება დაგეგმილია შპს თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტსა და ა(ა)იპ საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად. პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია ნათლად და მიღწევადია. ქიმიის ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ძირითადად ორიენტირებულია იმ უნარებზე, რომელსაც პროგრამა მისცემს კურსდამთავრებულებს. პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია, როგორც საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის, ისე თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტების მისიებთან და სტატეგიულ ხედვასთან. პროგრამის მიზანი მოამზადოს კვალიფიციური კადრები დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური საქმინობისათვის, ასევე ქიმიაში ახალი ცოდნის შექმნის და გავრცელების უზრუნველყოფა - სრულ შესაბამისობაშია საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მისიასთან: შექმნას სწავლის, სწავლებისა და კვლევის ისეთი გარემო, რომელიც საუკეთესო იქნება საქართველოში და ხელმისაწვდომი გამორჩეული ახალგაზრდებისთვის; აკადემიური და კვლევითი პერსონალისათვის მოტივაციის შექმნა და მუდმივი განვითარება - ახალი ცოდნის შექმნისათვის სტუდენტებისათვის გადასაცემად და საზოგადოებისათვის გასაზიარებლად. უნივერსიტეტების სტრატეგიული გეგმების და დასახული მიზნების განხორციელება ხელს შეუწყობს ქიმიის ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მიღწევას და შემდგომ განვითარებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა, • თვითშეფასების ანგარიში, • შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის და ა(ა)იპსაქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მისიები, სტრატეგიული განვითარების გეგმები, • ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტთან, კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია პროგრამის მიზნებში უნარებთან ერთად, განისაზღვროს ცოდნის ის საკითხები, რომლებსაც პროგრამა რეალურად აძლევს სტუდენტებს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებულიპროგრამის შემთხვევაში) არ ეხება
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ქიმიის ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას და უნარებს, რომელიც აუცილებელია ქიმიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად. პროგრამის სწავლის შედეგები ძირითადად შეესაბამება პროგრამის მიზნებს, სრულად შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები ძირითადად იმეორებს ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოს მე-8 დონის აღწერას. მიზანშეწონილი იქნებოდა მეტად ადაპტირება შესაბამის დარგთან და იმ ძირითადი შედეგების გამოკვეთასთან, რასაც უდავოდ აღწევს კურსდამთავრებული პროგრამის დასრულების შემდეგ. პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება ორი ძირითადი მიდგომა: პირდაპირი და არაპირდაპირი გაზომვის მეთოდები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება PDCA დინამიური სისტემის მიხედვით თანმიმდევრულად,

გამჭვირვალედ და მას აქვს უწყვეტი ხასიათი. არაპირდაპირი გაზომვის მეთოდი გულისხმობს უკუკავშირის სხვადასხვა საშუალების გამოყენებას: სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვას და ამ შედეგების ანალიზის გზით პროგრამაში დასახული სწავლის შედეგების გაზომვას და, საჭიროების შემთხვევაში, გაუმჯობესებას. პირდაპირი გაზომვა ხდება ცოდნის შემოწმების სხვადასხვა ფორმით: კომპეტენციების რუკის საშუალებით და კონკრეტულ სასწავლო კურსში წარმოდგენილი ცოდნის შემოწმების ფორმებისა თუ სხვა სახის აქტივობებით. აკადემიური პერსონალი იცნობს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სისტემას, სტუდენტები იღებენ შესაბამის უკუკავშირს. პროგრამის სწავლის შედეგების მოდელი მოიცავს: კომპეტენციების რუკას, შეფასებისა და ცოდნის შემოწმების ფორმებს, სასწავლო კურსების აქტივობებს, სწავლის მეთოდებს და ტექნოლოგიებს. ამ ოთხი ძირითადი პარამეტრის ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. კომპეტენციების რუკას შეუძლია იმ სასწავლო კურსების იდენტიფიცრება თუ რომელ სწავლის შედეგების მიღწევას ემსახურება და საშუალებას იძლევა გაკეთდეს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის. კომპეტენციების რუკაში სამიზნე ნიშნულების და მონაცემთა ანალიზის მიხედვით შეიძლება დადგინდეს, რომ საჭიროა სასწავლო კურსის დამატება, ან ამ სასწავლო კურსის მოდიფიცირება. საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში და თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში სწავლების მოდელი შემუშავებულია სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიაში არსებული საუკეთესო პრაქტიკების გათვალისწინებით, კერძოდ, პროფესორ ჯონ ბიგსის მეთოდოლოგიური მიდგომების მიხედვით. განსაზღვრულია პროგრამის სამიზნე ნიშნულები და მოცემულია სადისერტაციო ნაშრომის შეფასების განაწილება. სასურველია გაიწეროს სამიზნე ნიშნულები პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისათვის. პროგრამას ყავს ორი კურსდამთავრებული, რომლებიც დასაქმებული არიან საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში მეცნიერ-თანამშრომლის პოზიციაზე. მათი კვლევის შედეგები იბეჭდება მაღალი რეიტინგის ჟურნალებში, ისინი ჩართული არიან საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში სტუდენტების კონსულტანტებად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა; • პროგრამის სწავლის შედეგები; • პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკა; • ქიმიის ერთობლივი სადოქტორო პროგრამის კურიკულუმის (სწავლის შედეგების) რუკა; • საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში და თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები; • კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი; • გამოკითხვის შედეგები; ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: დამსაქმებლების მეტი ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებასა და განხორციელებაში, ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის პროგრამის სწავლის შედეგების მეტად ადაპტირება ქიმიის დარგთან და იმ ძირითადი შედეგების გამოკვეთა, რომლის მიღწევაც არის დაგეგმილი სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულთათვის; სასურველია პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას გამოვიყენოთ აქტიური ზმნები და ბლუმის ტაქსონომია. (დ. კენედის „სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და დანერგვა“). სასურველია ქიმიის ერთობლივი სადოქტორო პროგრამის კურიკულუმის (სწავლის შედეგების) რუკაზე გაიწეროს რომელი სასწავლო და კვლევითი კომპონენტი რა დონით ავითარებს კონკრეტული სწავლის შედეგს (1 - გაცნობა; 2 - გაღრმავება; 3 - განმტკიცება). პროგრამის ბაზრის გამოწვევებზე ძირითადი ყურადღების გამახვილება ხელს შეუწყობს სტუდენტის ჩამოყალიბებას მომავალი კარიერული მიზნებისთვის. სასურველია დაკონკრეტდეს სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) არ შეესაბამება ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებ ლოპროგრამისმ იზანი, სწავლისშედეგე ბიდამათთანპრ ოგრამისშესაბამ ისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, სამართლიანია, საჯარო და ხელმისაწვდომია. ლოგიკურად არის დაკავშირებული სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. ქიმიის ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. გარდა ამისა, პროგრამაზე პირი შეიძლება ჩაირიცხოს მობილობით, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტები. მათ შორის: ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი მოწმობა და/ან ცნობა, რომლითაც დასტურდება, რომ კანდიდატს აქვს ინგლისურ ენაზე სწავლის და/ან მუშაობის გამოცდილება და სამოტივაციო წერილი. თუ პირს არ აქვს ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი, მაშინ იგი აბარებს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ინგლისური ენის გამოცდას. პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა ასევე ითვალისწინებს გასაუბრებას თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისა და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ერთობლივი საბუნებისმეტყველო სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილ სამეცნიერო მიმართულებების კომისიასთან. გადაწყვეტილება პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ მიიღება კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე, განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად. ქიმიის სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარების შესაძლებლობა ასევე ეძლევა ნებისმიერი განათლების მქონე კანდიდატს. შესაბამისი დარგობრივი ცოდნა მოწმდება ზეპირი და წერითი გამოცდის საფუძველზე. ინფორმაცია პროგრამაზე დაშვების წინაპირობების და შესაბამისი პროცედურების შესახებ ქვეყნდება უნივერსიტეტების ვებ-გვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლის და სადისერტაციო საბჭოს დებულება;
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლის და სადისერტაციო საბჭოს დებულება;
- უნივერსიტეტების ვებ გვერდები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

☐ არ არის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს თბილისის თავისუფალ და ა(ა)იპ საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში ქიმიის ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა შეიქმნა ორივე უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამის დაგეგმვისას გათვალისწინებულია უნივერსიტეტების მისია, უნივერსიტეტის საქმიან გარემოსთან კონსულტაციები, შრომის ბაზრის მოთხოვნები, პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი რესურსები, კურსთამთავრებულების და სტუდენტების საჭიროებები, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.

პროგრამის შინაარსი და კომპლექსურობა შეესაბამება ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს მე-8 დონეს. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა ორი კომპონენტისგან შედგება: სასწავლო და კვლევითი კომპონენტისგან. თითოეული კომპონენტი ემსახურება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას და ორიენტირებულია დოქტორანტის კვლევითი საქმიანობის ეფექტურად წარმართვაზე. საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს და შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 180 კრედიტს და წარმოადგენს სასწავლო კომპონენტისა და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის ერთობლიობას, საიდანაც 40 კრედიტი ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 140 კრედიტი სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს.

სასწავლო კომპონენტი მოიცავს 40 კრედიტის სავალდებულო სასწავლო კურსებს, ხოლო კვლევითი კომპონენტი (140 კრედიტი) მოიცავს კომპონენტებს, რომლებსაც დოქტორანტი. ასრულებს სადისერტაციო ნაშრომის დასრულებამდე - პრერეკვიზიტის სახით. კვლევითი კომპონენტი შედგება კვლევის VI ნაწილისგან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობის საწინააღმდეგოდ შეიძლება იქნას მიჩნეული კვლევითი კომპონენტის - 140 ECTS კრედიტით განსაზღვრა.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში 2018 წლის 20 სექტემბერს შევიდა ცვლილება,რომლის მიხედვითაც გაუქმდა დოქტორანტურისათვის მინიმუმ 180 კრედიტით განსაზღვრა და კანონის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა დადგინდა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს. კანონში არ არის კვლევით კომპონენტთან ან/და მისთვის დასადგენ კრედიტების რადენობასთან დაკავშირებით რაიმე სახის ჩანაწერი.
აღნიშნულიდან გამომდინარე, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაში უნდა იყოს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის, მე-2 პუნქტის „''ბ"' ქვეპუნქტთან.

სასურველია, აკრედიტაციის საბჭომ მიიღოს გადაწყვეტილება არის თუ არა შეესაბამისობაში სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამი კვლევითი კომპონენტის კრედიტით განსაზღვრა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტთან.კვლევითი კომპონენტისათვის გამოყოფილი, დოქტორანტის მიერ შესრულებული კრედიტების რაოდენობა ყოველ სასწავლო სემესტრში, დასტურდება სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ.

კვლევის ბოლო, მე-6 ნაწილის შესრულებისთვის დოქტორანტმა უნდა დაიცვას სადისერტაციო ნაშრომი - სადოქტორო სკოლისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების შესაბამისად. დისერტაციის დაცვა არის საჯარო და სადისერტაციო ნაშრომი ფასდება საერთაშორისო შეფასების მიხედვით: magna cumm laude, summa cum laude, cum laude და ა.შ. (მე-3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-17 პუნქტი).

ზემოაღნიშნული გარემოება გასათვალისწინებელია იმისათვის, რომ პროგრამის სტრუქტურა იყოს კანონმდებლბოასთან შესაბამისობაში. ზემოაღნიშნული საკითხი არის სისტემური პრობლემა.

უნივერსიტეტი დოქტორანტებს სთავაზობს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რაც პროგრამებს სტუდენტების საჭიროებებზე მორგებულს ხდის. სტუდენტებთან

შეხვედრების შედეგად ხშირია პროგრამების სტრუქტურაში გარკვეული ცვლილებების შეტანა.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში ჩართულია უნივერსიტეტის ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებულები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები.

უნივერსიტეტები უზრუნველყოფენ საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და საჯაროობას.ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- კურიკულუმის (სწავლის შედეგების) რუკა;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

სასურველია პროგრამა მოვიდეს შესაბამისობაში უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის, მე-2 პუნქტის. „გ“ქვეპუნქტთან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავდეს თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში არჩევითობას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო სასწავლო კურსების შინაარსი შეესაბამება სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსი „სადისერტაციო ნაშრომის შესრულება“ იხილავს მონაცემთა რაოდენობრივი ანალიზის მეთოდებს, ხოლო პროგრამა ცალკე ითვალისწინებს სასწავლო კურსს „რაოდენობრივი კვლევის მეთოდებს“. აღნიშნულ სასწავლო კურსებს არ აქვს პრერეკვიზიტი. სასწავლო კურსების: სადოქტორო სემინარი I, სადოქტორო სემინარი II და სადოქტორო სემინარი III, რომელთა სწავლება გათვალისწინებულია მე-2, მე-4 და მე-5 სემესტრებში, კურსების მიზნები და შედეგები იდენტურია. სადოქტორო სემინარს I და სადოქტორო სემინარს II აქვს ზუსტად ერთი და იგივე მიზანი და შედეგი, ხოლო სადოქტორო სემინარ III-ს დამატებით აქვს 2 სწავლის შედეგი. აღნიშნული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ძირითადად ფორმირებულია ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს იდენტურად. სასურველია მეტად იყოს ადაპტირებული პროგრამის და შესაბამისი სასწავლო კურსის სპეციფიკაზე. სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა შესაბამისობაშია კურსის შინაარსთან. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა ადეკვატურია. სასწავლო კურსის სილაბუსში მოცემული ინფორმაცია სრულყოფილია. სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა და ლიტერატურა შეესაბამება დარგის უახლეს კვლევებს, ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა; • კომპეტენციების რუკა; • სილაბუსები; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: **ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა:** • სადოქტორო სემინარი I, სადოქტორო სემინარი II და სადოქტორო სემინარი III სწავლის შედეგებში გათვალისწინებული იქნას დარგის სპეციფიკა და დაკონკრეტდეს, რომელი სასწავლო კურსი, რა სწავლის შედეგზე გადის; • პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა გადახედოს ორი სასწავლო კურსის შინაარსს („სადისერტაციო ნაშრომის შესრულება“ და „რაოდენობრივი კვლევის მეთოდებს“), რათა თავიდან იქნას აცილებული სასწავლო კურსების საკითხების გადაფარვა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) არ შეესაბამება ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ქიმიის ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის პრაქტიკული უნარების განვითარებას. პროგრამა სთავაზობს სტუდენტებს სამეცნიერო-კვლევითი უნარების განმავითარებელ სასწავლო კურსებს (რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, სამეცნიერო პროექტების მენეჯმენტი, სადისერტაციო სემინარები). თბილისის თავისუფალ და საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში დიდი ყურადღება ექცევა ქმედებაზე ორიენტირებულ სწავლებას (learning-by-doing). დოქტორანტებს აქვთ შესაძლებლობა კვლევები ჩაატარონ თანამედროვედ აღჭურვილ ლაბორატორიებში და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში. დოქტორანტები ჩართული არიან თბილისის თავისუფალი და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საერთაშორისო და ადგილობრივი გრანტების ფარგლებში მიმდინარე სამეცნიერო კვლევებში. მათ აქვთ შესაძლებლობა უნივერსიტეტების მხარდაჭერით მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსებში, პროექტებში, კონფერენციებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა; • სტუდენტების ჩართულობის მონაცემები სხვადასხვა პროექტებში; • კონფერენციებში, მათი თანაავტორობით გამოქვეყნებული შრომები, ინტერვიუს შედეგები;

• მატერიალურ ტექნიკური ბაზა.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოიყენება სწავლების და სწავლის შემდეგი მეთოდები: ვერბალური მეთოდი, დისკუსიები/დებატები, შემთხვევების შესწავლა, გონებრივი იერიში, ინდუქციური მეთოდი, დედუქციური მეთოდი, პრაქტიკული და ლაბორატორიული კვლევები, ანალიზი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება. ამასთან, ლექტორი უფლებამოსილია სასწავლო პროცესში გამოიყენოს ისეთი მეთოდი, რომელიც პროგრამაში არ არის მითითებული. განსხვავებული მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, ინფორმაცია მიეთითება სილაბუსში.

სასწავლო კურსებში მოცემული სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება უმაღლესი განათლების მესამე საფეხურს. ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სწავლება-სწავლის მეთოდები; • საგანმანათლებლო პროგრამა; • სილაბუსები; • ინტერვიუს შედეგები; • გამოკითხვის შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა იყენებს შეფასების კრიტერიუმებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ეს კრიტერიუმები დეტალურად არის აღწერილი თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში და სტუდენტებს ეცნობება კურსის დასაწყისში. შესაბამისად, შეფასების კრიტერიუმები ნათელია სტუდენტებისა და შემფასებლებისთვის, ისინი სამართლიანი და გამჭვირვალეა . სტუდენტების შეფასება ხორციელდება წინასწარ შემუშავებული პროცედურების შესაბამისად. სასწავლო კურსების შეფასების სისტემა მრავალკომპონენტიანია და მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის დადგენილია კომპეტენციის მინიმალური ზღვარი. შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისა და ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ქიმიის ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული სასწავლო კურსების შეფასების სისტემა შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებს და მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: დისკუსიაში მონაწილეობას, სემინარზე მუშაობას, აქტიურობას, შუალედურ გამოცდებს, საშინაო დავალებებს, ლაბორატორიული კვლევები, პრაქტიკულ სამუშაოებს, პროექტებს, წერით ნაშრომებს, ზეპირ გამოკითხვებს, პრეზენტაციებს, ღია/დახურულ ტესტებს, დასკვნით გამოცდებს და სადისერტაციო ნაშრომს. შუალედური და დასკვნითი გამოცდების და სხვა ტიპის ცოდნის შემოწმება ხდება დახურული ან/და ღია წიგნის პრინციპით. დოქტორანტს ეძლევა საშუალება ლექტორისაგან მიიღოს შეფასების შესახებ უკუკავშირი, რაც ცოდნის შემოწმების ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია. უკუკავშირი გულისხმობს მიღებული შედეგების გაანალიზებას, რეკომენდაციების გაცემას და სტუდენტისთვის ხელშეწყობას - უკეთ დაგეგმოს საკუთარი აკადემიური მოსწრებისა და სწავლის შედგების მიღწევის გაუმჯობესების გზები. პროგრამა ითვალისწინებს ხელმძღვანელის მიერ დოქტორანტის პროგრესის შეფასებას პერიოდულად. სადოქტორო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის პროცედურა არის გაწერილი შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისა სადოქტორო პროგრამისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებასა და ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებაში. კერძოდ, სადოქტორო ნაშრომი და სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა სადისერტაციო ნაშრომის დაცვისთვის მზაობის შესახებ დოქტორანტის მიერ წარედგინება სამეცნიერო მიმართულების კომისიასთან. აღნიშნული კომისია, სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი დაცვის საფუძველზე აკეთებს დასკვნას, რომლის თანახმადაც, დოქტორანტი სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს ნაშრომის ნაბეჭდ ოთხ ეგზემპლარს, ანოტაციას ინგლისურ ენაზე და მათ ელექტრონულ ვერსიას. ანოტაციაში წარმოდგენილი უნდა იყოს სადოქტორო ნაშრომში გამოყენებული მეთოდები და წყაროები, ასევე, დასაბუთებული უნდა იყოს კვლევის მეცნიერული შედეგების, ან გამოყენებული მეოდების სიახლე და აქტუალობა. სადისერტაციო ნაშრომის დაცვა უნდა მოხდეს ნაშრომის სადისერტაციო საბჭოში წარდგენიდან 3 თვის განმავლობაში. რეცენზენტები, ნაშრომის მიღებიდან არა უგვიანეს ერთი თვისა, სადისეტაციო საბჭოს წარუდგენენ სადისეტაციო ნაშრომის შეფასებას. რეცენზენტების არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში დოქტორანტს ეძლევა უფლება დამატებით იმუშაოს დისერტაციაზე და ხელახლა წარუდგინოს ნაშრომი სადისერტაციო საბჭოს არაუგვიანეს 6 თვისა. რეცენზენტების სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში დისერტაცია არ წარედგინება სადისერტაციო კომისიას და დოქტორანტს უწყდება სტუდენტის სტატუსი.

თუ რეცეზენტების შეფასება მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან ან ერთ-ერთის შეფასება არის არადამაკმაყოფილებელი, ან სრულიად არადამაკმაყოფილებელი, საკითხს განიხილავს სადისერტაციო საბჭო და ნიშნავს მესამე რეცენზენტს. დისერტაციის დაცვა არის საჯარო. სადისერტაციო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად დასკვნითი შეფასებით. დოქტორანტის მიერ კვლევითი კომპონენტისათვის გამოყოფილი კრედიტების შესრულებული რაოდენობა ყოველ სასწავლო სემესტრში დასტურდება სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ. შეფასების პროცედურები და კრიტერიუმები კონკრეტული დარგის სპეციფიკას ითვალისწინებს, გამჭვირვალეა და შეესაბამება კანონმდებლობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა; • პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები; • შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისა სადოქტორო პროგრამისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება; • ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე,აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაში მოცემულია დეტალური ინფორმაცია სტუდენტების მხარდაჭერის შესახებ, კერძოდ, არსებობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც ინფორმაციას აწვდის სტუდენტებს მათი უფლებებისა და პასუხისმგებლობების შესახებ. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, ეხმარება სტუდენტებს ინდივიდუალური სასწავლო პროგრამების, სტაჟირების გავლაში /შერჩევასა და დასაქმების შესაძლებლობების მოძიებაში. პროგრამის სტუდენტები თითოეული კურსის შესახებ იღებენ უწყვეტ მხარდაჭერასა და კონსულტაციას ლექტორების მხრიდან. თბილისის თავისუფალ და საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტებში ქიმიის ერთობლივი სადოქტორო პროგრამაში ჩარიცხვისა და სწავლის, ასევე სასწავლო გარემოს შესახებ ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტების ვებ-გვერდებზე. დოქტორანტს, ჩაბარებისთანავე უფორმდება ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის ნებისმიერ ფორმალურ ურთიერთობას. ხელშეკრულება განსაზღვრავს სტუდენტის უფლებებს და არის იურიდიული გარანტი, რომ სტუდენტის უფლებები სრულად იქნება დაცული. სტუდენტს აქვს საშუალება მიიღოს ინფორმაცია სასწავლო პროცესის დაგეგმვის, სხვადასხვა კულტურული, სპორტული თუ სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის, კარიერული განვითარების შესახებ, სტუდენტების ინფორმირებასა უზრუნველყოფს პროგრამაში ჩართული დაწესებულების პერსონალი. სტუდენტებს ეძლევათ საშუალება მიიღონ სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა მათი სურვილისამებრ. სამეცნიერო აქტივობებში მონაწილეობისას უნივერსიტეტი ფინანსურად ეხმარება სტუდენტებს. უნივერსიტეტი ჩართულია საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში

(ერასმუს +), რის შედეგადაც 2 დოქტორანტი უკვე იმყოფებოდა გერმანიაში, სადაც იმუშავეს საინტერესო კვლევით პროექტებზე.

სასწავლო გარემო და ცხრილი მორგებულია სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს, უნივერსიტეტი საშუალებას აძლევს სტუდენტებს, რომ სწავლასთან ერთად მუშაობაც შეძლონ (ლექციების ინდივიდუალური გრაფიკი, ლაბორატორიულ - ექსპერიმენტული სამუშაოების ჩატარების შესაძლებლობა საღამოს საათებში).
უნივერსიტეტი ეხმარება სტუდენტებს კარიერულ განვითარებაში - წარმატებული კურსდამთავრებულები დასაქმებულები არიან უნივერსიტეტის მიერ და აგრძელებენ სამეცნიერო და აკადემიურ საქმიანობას; ქიმიის სადოქტორო პროგრამაში ჩართულობა ხელს უწყობს სტუდენტის კარიერულ ზრდას უნივერსიტეტის მიღმაც ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ერთ-ერთი სტუდენტის დაწინაურება მოხდა უშუალოდ სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარების შემდგომ.
თვითშეფასების ანგარიშის გაცნობისა და ინტერვიუს შედეგად, არ გამოიკვეთა სტუდენტების უშუალო ჩართულობა თვითშეფასების პროცესში. სასურველია სტუდენტების მეტი ჩართულობა ამ კუთხით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტატისტიკური მონაცემები სტუდენტების სხვადასხვა პროექტებში ჩართულობის შესახებ;
- ინტერვიუს შედეგები;
- პერსონალის სამუშაოთა აღწერილობები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სტუდენტების/კურსდამთავრებულების ჩართულობის უზრუნველყოფა თვითშეფასების პროცესში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

- სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები, მათი უზრუნველყოფის მექნიზმები მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით და საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშემწყობი მექანიზმები.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

3.2მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი. დასახული მიზნების მისაღწევად უნივერსიტეტები დოქტორანტს: • ეხმარებიან ხელმძღვანელის შერჩევასა და კვლევის ორგანიზებაში; • სთავაზობენ კვლევის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის საჭირო მეთოდოლოგიურ და თეორიულ ცოდნას; • უქმნიან სათანადო გარემოს სამუშაოს ეფექტიანი შესრულებისათვის, კერძოდ, დოქტორანტს აქვს სამუშაო სივრცე, წვდომა ლაბორატორიებსა და კვლევით ცენტრებზე, ისევე როგორც კომპიუტერულ ტექნიკაზე, ბიბლიოთეკასა და ელექტრონულ საბიბლიოთეკო რესურსებზე; სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია დარგის გამორჩეული, მაღალი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი. თითოეული დოქტორანტის სადისერტაციო თემაზე მუშაობისას ირჩევა ინდივიდუალური ხელმძღვანელი და შესაბამისი დარგის მიმართულების კომისია. სადისერტაციო თემის არჩევისას, პირველ რიგში გათვალისწინებულია სტუდენტის ინტერესი. პროგრამაზე ჩარიცხვის განაცხადის შევსებამდე, სტუდენტი იღებს კონსულტაციას, როგორც ადმინისტრაციის, ასევე სავარაუდო დისერტაციის ხელმძღვანელის მხრიდან. ქიმიის ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია დოქტორანტებში იმ აუცილებელი უნარ–ჩვევების გამომუშავებაზე, რომელიც მნიშვნელოვანია თანამედროვე შრომის ბაზარზე წარმატებული კარიერის დაწყებისთვის. დოქტორანტებს საშუალება ექნებათ ერთმანეთს გაუზიარონ სამომავლო სამეცნიერო ინტერესები და ჩაერთონ მათთვის ახალ და მომიჯნავე დარგების კვლევებში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როცა დოქტორანტები ორიენტირებულნი არიან კომპლექსური, ინტერდისციპლინარული სამეცნიერო პრობლემების გადაწყვეტის გზების მოძიებაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასები ანგარიში ○ ინტერვიუ
რეკომენდაციები: არ გვაქვს

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1. ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო

პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ყველა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს აქვს სწავლების მნიშვნელოვანი გამოცდილება და მათი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულნი არიან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი, რომელთაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. აკადემიური პერსონალის კომპეტენტურობა ასევე ცხადყო, მათთან ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრამ. პროფესორებს აქვთ საერთაშორისო სამეცნიერო რეპუტაცია და ფართო საერთაშორისო კოლაბორაციული ქსელი. აკადემიური პერსონალის საერთაშორისო გამოცდილება უზრუნველყოფს დარგში თანამედროვე ტენდენციებისა და მიღწევების გამოყენებას დოქტორანტების ეფექტური ხელმძღვანელობისთვის. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომებით მათ შორის მაღალი იმფაქტ ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში. ორი კურსდამთავრებულის მიერ დაცული სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს ორიგინალურ ნაშრომს. აკადემიურ პერსონალში უნივერსიტეტებში მოაზრებულია ყველა სახის პროფესორი და ლექტორები, რომლებიც არიან დასაქმებული უნივერსიტეტში სრული დატვირთვით. ხოლო, სამეცნიერო პერსონალში ყველა უნივერსიტეტის თანამშრომელი (აკადემიური, არააკადემიური, და მოწვეული), ვინც ჩართულია სამეცნიერო/კვლევით საქმიანობაში. პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგია ინტერაქციული პროცესია. პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. საგანმანათლებლო პროგრამას გააჩნია აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს სასწავლო და სამეცნიერო დატვირთვას. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტებს შემუშავებული აქვთ პროგრამების აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, აკადემიურ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობა შეესაბამება მისაღებ დოქტორანტთა რაოდენობას, რაც, თავის მხრივ, შეესაბამება დოქტორანტის პოტენციური ხელმძღვანელის სამუშაო დატვირთვას. თუმცა, დოქტორანტთა რაოდენობა მცირეა. (პროფესორი 14; ასოცირებული პროფესორი 6; ასისტენტ პროფესორი 1). რაც შეეხება სამეცნიერო პერსონალს, მათი რაოდენობა შეადგენს - 21 მეცნიერს. მათ შორის ქიმიკოსების გარდა არიან ფიზიკოსები, მათემატიკოსები და ბიოლოგები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ინტერდისციპლინარობას.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და მათზე დაკისრებული ყველა ფუნქციის ჯეროვან შესრულებას. სადოქტორო პროგრამაში ჩართულია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი უზრუნველყოფს დოქტორანტების აქტიურ ჩართულობას სამეცნიერო საქმიანობაში. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და დეკანთან ერთად უშუალოდა არის ჩართული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში, სასწავლო და სამეცნიერო პროცესში. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია და კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პერსონალის CV- ები და კურსების სილაბუსები; • პერსონალის სამუშაოს აღწერილობები; • გამოკითხვის შედეგები; • პერსონალის რაოდენობრივი განსაზღვრის მეთოდოლოგია; • ხელმძღვანელის და დოქტორანტების თანაფარდობა; • ინტერვიუების შედეგები; • თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): პროგრამას ემსახურება მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი, სხვადასხვა დარგის სპეციალისტების ჩართულობა უზრუნველყოფს კვლევების ინტერდისციპლინარობას.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

წინამდებარე პროგრამაში ჩართული პერსონალის პროფესიული განვითარება ემყარება უნივერსიტეტის სტანდარტულ პრაქტიკას, ძირითადად სამეცნიერო კარიერას.

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტებში არის აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი, რომელიც აკადემიური პერსონალის და მეცნიერთა ყოველწლიური აქტივობის შეფასების შედეგების მონიტორინგს ახორციელებს. ნერგავს უნივერსიტეტში სწავლების მეთოდების და შეფასების სისტემის თანამედროვე მიდგომებს.
აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი სემესტრულად ატარებს ტრენინგებს, საუშაო შეხვედრებს, აცნობს ახლად არჩეულ აკადემიურ პერსონალს სწავლის თანამედროვე მეთოდოლოგიას და ეხმარება სილაბუსების შემუშავებაში და ა.შ..
უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიური პერსონალის განვითარებას, რაც აისახება უნივერსიტეტის მიერ აკადემიური პერსონალის კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსებით. პროგრამაში ჩართული პერსონალი აქტიურად მონაწილეობს გაცვლით, საერთაშორისო და ადგილობრივ პროექტებში, კონფერენციებში, რაც ასახულია მათ მიერ წარმოდგენილ პერსონალურ მონაცემებში (cv).
თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით, მეცნიერის ყოველწლიური საქმიანობა ფასდება როგორც ინდივიდუალურად, ასევე ინსტიტუტების მიხედვით. თუმცა მოწოდებული დოკუმენტაციით არ დასტურდება მეცნიერების პროდუქტიულობის ინდივიდუალური შეფასებები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუების შედეგები;
- სტატისტიკური მაჩვენებლები პერსონალის შესახებ;
- აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები;
- პროგრამაში ჩართული პირების სამეცნიერო-კვლევითი მაჩვენებლები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): • უნივერსიტეტების ლაბორატორიები უზრუნველყოფილია მაღალტექნოლოგიური ხელსაწყო - დანადგარებით, რომლებიც არის თანამედროვე და აკმაყოფილებს საერთშორისო სტანდარტებს.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

4.2. მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი შპს - თბილისის თვისუფალ და ა(ა)იპ - საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტებს გააჩნიათ მაღალი დონის, თანამედროვე სტანდარტების ინფრასტრუქტურა. შენობები აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, რომელიც აუცილებელია სასწავლო გარემოსთვის. უნივერსიტეტებს გააჩნია მაღალტექნოლოგიური ხელსაწყო - დანადგარები. სილაბუსებში მითითებული ყველა სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებში, რითაც უზრუნველყოფილია პროგრამის სწავლის შედეგები. ბიბლიოთეკაში შექმნილია სწავლისათვის შესაფერისი გარემო და აღჭურვილია თანამედროვე ლიტერატურით, დოქტორანტებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ საერთაშორისო ელექტრონული ბაზებით. საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის და თანამშრომლებისათვის ადეკვატური გარემოს შესაქმნელად მოწყობილია თანამედროვე სალექციო ოთახები, ლაბორატორიები, გათვალისწინებულია ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სტანდარტები და ხელმისაწვდომია.

საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტს აქვს 91 სასწავლო ოთახი, რომელთაგან 39 არის უნივერსიტეტების ტერიტორიაზე სტუდენტებისთვის მოწყობილია კომპიუტერებით აღჭურვილი სამუშაო სივრცეები. უნივერსიტეტების კამპუსის ინფრასტრუქტურა მოიცავს შემდეგ ობიექტებს: სპორტული დარბაზი; კულტურის ცენტრი; კაფეტერია ; საგამოცდო ცენტრი; თანამედროვე პარკინგი; კამპუსის ტერიტორიაზე, სადაც აკადემიური ან სამეცნიერო პროცესი მიმდინარეობს ინტერნეტი ხელმისაწვდომია უსადენო ტექნოლოგიებით. კამპუსის ტერიტორიაზე განლაგებული უსადენო ქსელი წერტილების ტექნოლოგია შერჩეულია იმგვარად, რომ უზრუნველყოფს ყველა აუდიტორიაში ადგილების რაოდენობების შესაბამისი უსადენო ინტერნეტის მომხმარებლის დაერთებას. მიმდინარეობს მოთხოვნის მუდმივი მონიტორინგი და უნივერსიტეტის სხვადასხვა უბანზე სიმძრავლეების ადამპტირება მოთხოვნის შესაბამისად. შენობის შესასვლელში არსებობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისათვის გათვლილი სავალი ნაწილი (პანდუსი), შენობაში უწყვეტლივ მუშაობს ლიფტი, არის ადაპტირებული სველი წერტილები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბიბლოთეკო მატერიალური და ტექნიკურ რესურსი; • საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებზე წვდომა; • სტუდენტთა გამოკითხის შედეგები; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ლაბორატორიებისა და აღჭურვილობის სტანდარტების დაცვა გადამწყვეტი იქნება პროგრამის განხორციელება/განვითარებაში და ახალი დოქტორანტების მოსაზიდად, აქედან გამომდინარე აუცილებელია უნივერსიტეტის მდგრადი მხარდაჭერა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ორივე უნივერსიტეტის ფინანსური რესურსი შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის საჭიროებებს კვლევითი მიმართულებით. საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური მგრადობის შესაფასებლად წარმოდგენილია მხოლოდ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ფინანსების ანალიზი, რომელიც წარმოადგენს ყველა პროგრამის და ადმინსტრაციული ერთეულის ბიუჯეტს, მათ შორის მოიცავს ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ''ქიმია'' ფინანსურ ნაწილს და ადასტურებს, რომ საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსურად მეტწილად მდგრადია. ა(ა)იპ „ცოდნის ფონდი“ აფინანსებს როგორც სტუდენტების საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის საფასურს, ასევე მათ მგზავრობასთან დაკავშირებულ ხარჯებს. უნივერსიტეტების დაფინანსების დინამიკა ბოლო 5 წლის განმავლობაში ინარჩუნებს სტაბილურობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები; • უნივერსიტეტების ბიუჯეტი; • ინტერვიუების შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

შპს - თბილისის თავისუფალი და ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულია. ეფუძნება უნივერსიტეტის სტრატეგიულ ხედვას, შეინარჩუნოს „თხელი სტრუქტურის“ (Lean Structure) იდეა, რათა სტუდენტებს და პროფესორებს შეექმნათ ნაკლები ბიუროკრატიული ბარიერი. ვინაიდან უნივერსიტეტის პოლიტიკა ხარისხის მიმართ გულისხმობს სწავლების, სწავლისა და კვლევის პროცესების მაქსიმალურად უზრუნველყოფას/განვითარებას. შესაბამისად, უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები მონაწილეობენ ხარისხის კონტროლსა და განვითარებაში.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საქმიანობას ახორციელებს ხარისხის უხრუნველყოფის ციკლის (PDCA) მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, მოახდინე რეაგირების“ პრინციპს. აღნიშნული მოდელი დინამიურია და მოქმედებს ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების კონტექსტში.
შიდა შეფასება სემესტრის განმავლობაში ტარდება სისტემატურად SurveyMonkey-ს პლატფორმის გამოყენებით. სტუდენტები უფლებამოსილნი არიან ანონიმურად შეაფასონ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სასწავლო კურსები, ადმინისტრაცია, ასევე, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ყველა სხვა საკითხი.
უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები ჩართულები არიან ხარისხის კონტროლსა და უზრუნველყოფაში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა მჭიდრო თანაკვეთაშია პრორექტორების, დეკანების, სკოლის კოორდინატორების, სარეგისტრაციო ოფისის, ადამიანური რესურსების, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების საქმიანობებთან და გუნდური მუშაობის შედეგად ხდება პრობლემების იდენტიფიცირება, შეთანხმება როგორც ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებზე ისე, მისი განხორციელების გზებზე და პროცესების დაგეგმვაზე.
შესაბისად, ხარისხის უზრუნველყფოის სამსახურის მუშაობა არის ინტეგრირებული ხასიათის და ეფუძნება ხარისხის განვითარების, სრულყოფის, პერსონალთან და სტუდენტებთან ღია თანამშროლობის პრინციპებს.
პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი შედგება როგორც, უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლების, ასევე პროგრამის კოორდინატორის და სხვადასხვა სამსახურების პასუხისმგებელი პირებისგან. სასურველი იყო თვითშეფასების ჯგუფში აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ჩართულობა.
პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში იყო რიგი ტექნიკური უზუსტობები. კერძოდ, კრედიტების რაოდენობა მითითებული იყო - 120 (180-ის ნაცვლად) (გვ. 3); ტექსტების განმეორება (გვ. 14-15; გვ. 20); ბიოლოგიის პროგრამის შესახებ და საბუნებისმეტყველო სადოქტორო პროგრამების შესახებ ინფორმაციები (გვ. 21; გვ. 46). ტექნიკური შეცდომა იყო კურუკულუმის (სწავლის შედეგების) რუკაზეც. კერძოდ, სასწავლო კურსი „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები“-ს არ ჰქონდა მითითებული პროგრამის რომელი სწავლის შედეგთან იყო შესაბამისობაში.დაწესებულების წარმომადგენლებმა ვიზიტისას აღნიშნეს, რომ მოცემული ტექნიკური ხარვეზები უკვე გამოსწორებული იყო, თუმცა საკანონმდებლო მოცემულობიდან გამომდინარე, ვერ მოხდა მოცემული დოკუმენტების განახლებული ვარიანტების გათვალისწინება შეფასების ფარგლებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ა(ა)იპ - აგრარული უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები;
- ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის და შპს - თბილისის თავისუფალი

უნივერსიტეტის ერთობლივი სადოტორო პროგრამების ფარგლებში ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევა; • ინტერვიუს შედეგები;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის პროგრამის თვითშეფასების ჯგუფში აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ჩართულობის უზრუნველყოფა. სასურველია დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ტექნიკური შეცდომების შემცირება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას შესწავლილ იქნა მსოფლიოს მოწინავე უნივერსიტეტების ანალოგიური პროგრამები და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკები. უნივერსიტეტებში განხორციელებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების პერიოდული ანგარიში წარედგინება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს შესაბამისი ვადებისა და წარდგენის ფორმების დაცვით. უნივერსიტეტები ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესში გამოთქმულ რეკომენდაციებსა და რჩევებს განიხილავს და ითვალისწინებს ისეთ რეკომენდაციებსა და რჩევებს, რაც ხელს შეუწყობს ამ კონკრეტულ პროგრამაზე სწავლის ხარისხის უზრუნველყოფასა და განვითარებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ა(ა)იპ - აგრარული უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები; • შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები; • პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები; • ინტერვიუს შედეგები;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და სწავლის შედეგების პერიოდული შეფასება ა(ა)იპ - საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტსა და შპს - თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია ორი ძირითადი მიდგომით - პირდაპირი და არაპირდაპირი გაზომვის მეთოდებით.
პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება PDCA („დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, მოახდინე რეაგირება“) დინამიური სისტემის მიხედვით თანმიმდევრულად, გამჭვირვალედ და უწყვეტად.
პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის.
ორივე უნივერსიტეტში სწავლების მოდელი შემუშავებულია სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიაში არსებული საუკეთესო პრაქტიკების გათვალისწინებით, კერძოდ, პროფესორ ჯონ ბიგსის მეთოდოლოგიური მიდგომების მიხედვით.
სწავლის შედეგების შეფასების განსაზღვრა ხდება ლექტორის მიერ სილაბუსის შედგენისას და სკოლის დეკანის, პროგრამის ხელმძღვანელის და აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერის მიერ მოწმდება მისი რელევანტურობა და ადეკვატურობა დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე - სწავლის შედეგებთან მიმართებაში.
სწავლის შედეგები ფასდება პროცედურით, რომელიც ეფუძნება გამჭირვალე კრიტერიუმებს - შეფასების სისტემას, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში არის ასახული.
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ორივე უნივერსიტეტში მიმდინარეობს მუდმივად. უნივერსიტეტები პროგრამის განვითარებისთვის იყენებენ უცხოური უნივერსიტეტების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.
პროგრამის მონიტორინგის შედეგად, საჭიროების შემთხვევაში, ხდება პროგრამის მოდიფიცირება ან გაუმჯობესება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ა(ა)იპ - აგრარული უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

დასკვნის გვერდების რაოდენობა:

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის
ელინა ბაქრაძე



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის
ეკატერინე ჩხაიძე



ინგა ბოჭოიძე



მარიამ აბულაძე